№ 246 ნოემბერი 23, ოთხშაბათი 1888 ნოემბერი 23, ოთხშაბათი № 246


# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


ქუთაისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის მოვალეთა მამულების გასყიდვის ვადა, ბანკისაგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო, შეიცვალა ამ ნაირად:

იმ მამულებისა, რომელნიც მდებარეობენ ქალაქთ ქუთაისს, ფოთს, ოზურგეთსა და ახალციხეს, ვაჭრობა მოხდება ოც-და-ერთს დეკემბერს ამა წლისას და სოფლის მამულებისა და, აგრეთვე, მოკლე ვადიანთა სესხთამებრ ოც-და-ორს იმავე დეკემბერს, ხოლო მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა რვას იანვარს, მომავალის წლისას. იმ მამულებისა-კი, რომელნიც მდებარეობენ ქალაქს ტფილისს, ტფილისისა და გორის მაზრებში, პირველი ვაჭრობა იქნება ცხრამეტს დეკემბერს ამა წლისას, ხოლო მეორე—სამს იანვარს მომავალის 1889 წლისას. (3—3)

ქართული თეატრი

პარასკევს, 25 ნოემბერს

ბენეფისი

ვ. ა. აბაშიძისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: პირველად ახალი პიესა თ. აკაკი წერეთლისა

I

ახალი გმირი

დრამა 4 მოქმედებად.

II

მეჯლისი იტალიელებით

ოპერეტი 1 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვისა, თამაროვისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, აწყურელი, გამყრელიძე, დიღმელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე

ტფილისი, 22 ნოემბერი

რა რიგად აერია ადამიანს გზა-კვალი ყოველსფერში! ეროსავით სულ მუდამ თავისაკენ მთლელი გონება ადამიანისა ამ არეულობასა და ბაბილონის გოდოლის აშენებაში იქამდე მივიდა, რომ ლამის ცხადი ბოროტება, აშკარა ავ-კაცობა დიდ სათნოებად და დიდ მადლად გადააქციოს და საქვეყნოდ იქადაგოს კიდეც, ვითარცა მოძღვრება ყოვლად მხსნელი.

განა მოიფიქრებდა ვინმე, რომ ყოვლად შემაზრზენს, თავ-ლაფდასხმულს, ყველასაგან გალანძღულს, გაკიცხულს და შეგინებულს „ავ-ენაობას“, ანუ „ჭორს“ მწემქებარი და მაქებ-მადიდებელი გამოუჩნდებოდა! დღეს აქამომდე თვითონ „ავ-ენა“, ანუ „მეჭორე“ იმოდენად სირცხვილ-დაკარგული არ იყო, რომ ეს თავისი სამარცხვინო ხელობა თვითონვე არა ჰქონოდა სათაკილოდ მიჩნეული და არა ჰცდილიყო, რომ ისარი თავისის შუშხუნის ენისა არავისათვის აშკარად არ დაენახვებინა. დიაღ, დღეს აქამომდე იმოდენად სამარცხვინო იყო ეს ავ-ენაობა და მეჭორობა, რომ თვით მისნი პატრონნებიც-კი ყველას უმალავდნენ ამ თავიანთს ქონებასა და ჩუმად, ფარულად ასაღებდნენ, ოღონდ არავინ-კი გაგვიგოს, არავინ-კი შეგვიტყოსო. ქურდი ხშირად თავისს ხელობას დანაშაულობად არა სთვლის, ავაზაკი ავაზაკობას და აგრეთვე ბევრი სხვა ცოდვა და დანაშაულია, რომელიც ცოდვილსა და დამნაშავეს დანაშაულად არ მიაჩნია. ხოლო არა გვგონია ქვეყანაზედ იმისთანა ავ-ენა, ანუ მეჭორე კაცი იყოს, რომ ავ-ენობა და მეჭორობა ცუდ-კაცობად თვითონვე თავის პირით არ აღიაროს. ამისთანა გაურეცხელი სახელი ჰქონდა დღეს აქამომდე ავ-ენაობასა და მეჭორობას ყველგან და ჩვენშიაც-კი, საცა ამ ვაჟბატონებს უფრო ხალვათი სარბიელი აქვსთ.

თურმე ნუ იტყვით, ამ ყველასაგან გაკიცხულს ჭორს ადამიანისას თავისი საბუთი არსებობისა ჰქონია და განგებას დიდი სამსახურიც დაუვალებია ადამიანის საბედნიეროდ. არის ქვეყანაზედ ერთი გაზეთი, რომელსაც „Новое Время“ ჰქვიან და რომელიც გათქმულია ქვეყანაზედვე, ვითარცა ავ-ენა და მეჭორე გაზეთი. აი სწორედ ეს გაზეთი დღეს გამოვიდა მოედანზედ და გვარწმუნებს, რომ ტყუილად აგიგდიათ აბუჩად ყველასაგან მოძულებული ავ-ენაობა და მეჭორობა. თქვენ რა იცით, ხურმა რა ხილიაო. თქვენ რა იცით, რომ თუ ქვეყანაზედ ავ-ენაობა და მეჭორობა არ იყოს, არც თქვენი ზნეობა იქნებოდა, არც თქვენი მართებულობა, არც თქვენი სათნოება, არც თქვენი კაი კაცობა და ყოველივე ის, რის სახელითაც დღეს აქამომდე სდევნიდით ჭორსა და ავ-ენაობასა, უპატრონოდ და მოუვლელად ეგდებოდა სადმე მჩვარში გახვეულიო. ავ-ენაობა და ჭორი ყარაულები არიან, მერე დაუძინებელნი ყარაულები, რომ არავის ზნეობა, მართებულობა, ღირსება თქვენი არ შეალახვინოს და არ დაარღვევინოსო.

მარტო თვითონ გაზეთი რომ ამბობდეს ამას, ეგ კიდევ ადვილი გასაგები იქნებოდა. თავისს სიცოცხლეს იგი სულ ავ-ენაობასა და ჭორში ატარებს და აქ რომ ცოტად თვალი აუხვიოს თავისს მკითხველსა და შავი თეთრად აჩვენოს, დიდად გასაკვირველი არ არის. რომელი ვაჭარი არა ჰმვრება ამას, როცა დამპალ საქონელს უპირებს გასაღებას? საქმე ის არის, რომ ამ ავ-ენაობისა და მეჭორობის საქებსადიდებელად გაზეთმა მოიშველია ერთი გერმანელი მეცნიერი იერინგი. ამასაც არა ჰკმარობს გაზეთი. ერთი ისპანელი პოეტიც უმოწმებია და სცდილობს ამ ორის გამოჩენილის კაცის ხელით დაადგას ავ-ენაობასა და ჭორს სათნოების გვირგვინი.

ჩვენს გაზეთში (№№ 243, 244) ეს ამბავი მოვახსენეთ ჩვენს მკითხველებს და საკმაოდ ვრცლად ამოვწერეთ წერილი „Новое Время“-სი ამის თაობაზედ. ამიტომაც ხელ-ახლად მოხსენებას იმისას თუ, —რას ჰბოდავს იგი გაზეთი ჭორისა და ავ-ენაობის გამო, ჩვენ თავს დავანებებთ. ჩვენ ამ ჭორის ქებადიდებაში მარტო ორი რამ გვაკვირვებს: ერთი კადნიერება გაზეთისა, რომ იმისთანა საძაგელს რასმეს წაესარჩლა, როგორიც ჭორია და ავ-ენაობა, და მეორე—რა რიგად ჰცუდლუტობს გაზეთი, რა რიგად გველსავით კუდს იქნევს, რა რიგად ეშმაკობს, რომ არა-მოწმობა გერმანელ მეცნიერისა და ისპანელ პოეტისა მართალ მოწმობად გადააქციოს. არა გვგონია კაცმა გამთბარი წმინდა სანთელი ისე მოჰქნას ხელში, როგორც იგი გაზეთი თავისებურადა ჰქნის სხვის ნათქვამსა, რომ თავისი ყალბი გაიყვანოს გამოჩენილთა კაცთა მოწმობითა და სახელითა.

ჩვენ არც იერინგი წაგვიკითხავს, არც ისპანელი პოეტი ეჩეგარაი. მაგრამ რაკი ესენი მოჰყავს გაზეთს თავის მოწმად, უნდა ვიგულვოთ, რომ არასდროს თავის სამხროს და გამოსაყენს არ დააგდებდა ამოუწერლად ამათის ნათქვამისაგან. ახლა უყურეთ რა რიგად ათამაშებს გაზეთი ამათს სიტყვებს და იქ საცა იერინგი საზოგადოების ხმასა, საზოგადოების ზნესა და მორალზედ ჰლაპარაკობს, გაზეთი რა უხერხულად ჩააკერებს ხოლმე ავ-ენაობას, ან ჭორსა თავისის აზრის გასაყვანად. მაგალითებრ, გაზეთი ერთგან გვაუწყებს იერინგის აზრს ასე:

„Общественное мнѣніе, т. е. то, что иные называютъ сплетнями—имѣетъ такое же право на вниманіе къ себѣ, какъ и совѣсть“.

ნუ თუ აქ სიტყვები: „то, что иные называютъ сплетнями“ განგებ ჩაკერებული არ არის გაოსტატებულ გაზეთისაგან? ან თუნდა ეს სიტყვები აიღეთ, რომლითაც გაზეთს თავისი დასკვნა გამოჰყავს იერინგის ნათქვამისაგან:

Стало быть общественный обычай есть именно то, что всего сильнѣе охраняетъ человѣка отъ его собственнаго демона. Кто не желаетъ принимать эту охрану, кто не хочетъ слушать предостереженія „злыхъ языковъ“, кто съ легкимъ сердцемъ или съ гордою самоувѣренностью въ своихъ силахъ нарушаетъ этотъ обычай (ნუ თუ обычай злыхъ языковъ?!), тотъ дѣлаетъ первый шагъ къ нарушенію морали.

აბა აქ რა ადგილია სიტყვებისათვის „злыхъ языковъ“, თუ გაზეთის ეშმაკობა და ოსტატობა არ არის. აქ რომ «злыхъ языковъ» განგებ ჩაჩხირულია აშკარაა, იმიტომ-რომ შემდეგი ფრაზა „кто нарушаетъ этотъ обычай“ ვერას გზით ვერ მიედგმის ამ „злыхъ языковъ“-ს. უველაფერს ამას თავი დაანებეთ და დააკვირდით მარტო ამ დასკვნას გაზეთისას, გამოყვანილს იერინგის ნათქვამისაგან:

Въ глазахъ современнаго общества нѣтъ большаго преступленія, которое казалось бы болѣе жестоко, чѣмъ сопротивленіе требованіямъ общественнаго мнѣнія. Таковы новыя мысли, возвѣщенныя съ ученой кафедры извѣстнымъ нѣмецкимъ юристомъ.

## ფელეტონი

### შენიშვნები ქართველის მგზავრისა

(ბაქოდამ კრასნოვოდსკამდე)

ერთი წუნი ისა აქვს კრასნოვოდსკს, რომ წყალი ახლო-მახლო სულ მლაშეა და საკმაოდ მლაშეც არის. პირველს ხანებში ძალიან გამიჭირდა საქმე—ძერასავით მწყურვალე ვიყავ, რადგან ღვინოები იქ არ ვარგოდა, ლუდი მამასისხლად ძვირი იყო და წყალს კიდე ახლო ვერ ვეკარებოდი. რაც გინდ ბევრი შაქარი გექნათ ჩაისთვის, სიმლაშეს მაინც იგრძნობდით და იგრძნობდით. იქაურებს შევჩივლე ჩემი საცოდაობა და ყველას გაუკვირდათ, რომ მე არ მეგემებოდა მლაშე წყალი. სარწმუნო კაცებმა მითხრეს, რომ მალე ისე შეეჩვევით ამ მლაშე წყალს, რომ მერე მდინარის წყალი ზიზღს მოგგვრითო. როცა ჩვენ კავკასიაში ვართ, იქაურს ჩაის უთუოდ მარილს მოვაყრით ხოლმეო. მე იმ ხანად არა მჯეროდა. ჩემთვის წყალს შორიდამ ვაზიდინებდი განგებ. ისიც-კი მლაშე იყო, მაგრამ ძრიელ ცოტად. ხოლო მოკლე ხანში მართლა ისე მივეჩვიე იქაურს წყალს, რომ საჩვენო'ში აღარ მეგემებოდა ჩვენის მთისა და მდინარის წყალი.

უწყლოობისა და უწვიმობის გამო მცენარეულობაც საშინლად ღარიბია ამ ქალაქის გარშემო. მაგრამ თუ-კი ქალაქი ფეხზე დადგა, ამ ნაკლს ადვილად აიცდენს თავიდამ.

დიდი ღირსება კრასნოვოდსკისა გახლავსთ ისა, რომ ამაზე უმშვენიერესი საბანაო ადგილი ძნელად მოიძებნება სადმე. აქ მთელის წლის განმავლობაში შეგიძლიანთ გამოიყენოთ სიკეთე და გამკურნებელი ძალა ზღვისა. მანამ კრასნოვოდსკი ქალაქობდა, კიდეც ბლომად მოდიოდნენ აზიის სხვა-და-სხვა ადგილებიდამ საბანაოდ, ეხლა კი მართალია დაიარებიან, მაგრამ ნაკლებად, იმიტომ-რომ ბუნებით სიკეთესთან ეს ქალაქი ძრიელ ღარიბია იმითი, რაც პირველ საჭიროებას შეადგენს ქალაქის მცხოვრებთათვის. მაგალითად, აქ ხანდისხან ორი სამი კვირა გაივლის, რომ ძროხის ხორცი თვალითაც ვერა ჰნახოთ და უნდა იკვებებოდეთ მარტო ცხვრის ხორცით. მერე რა საშინელებაა იქაური ცხვრის ხორცი—იმაზე უგემური, საძაგელ-სუნიანი ჩემს დღეში არა ხორცეულობა არ მინახავს. იმისი საზიზღარი გემო დღესაც პირში მაქვს და თავ-ბედს მაწყევლინებს. ერთხელ-კი ვნახე და მერე სამუდამოდ ავილე ხელი ცხვრის ხორცზე, ვიდრე იქა ვცხოვრობდი, და დავემყარე ჩინებულს თევზეულობას. მაგრამ თევზეულობა მალე გწყინდებათ, ასე რომ ვშიშობდი მარტო პურის ანაბარას არ დავრჩე-მეთქი.

ღმერთიმც უშველით იქაურს ყირგიზებსა და თურქმენებს, რომელთაც უცებ მოაყარეს კრასნოვოდსკს ჯეირნის ხორცი. დილით ადრე გაიხედავდით ქუჩაში და ჰნახავდით აქლემებს, რომელნიც დასაპალნებულნი იყვნენ ლამაზის ჯეირნებით. თითოს იყიდდით ათის შაურიდამ მანეთ ნახევრამდე. ახლო-მახლო ძალიან სცოდნია ჯეირანი, მაგრამ მარტო ხან-დასმით ნადირობენ მკვიდრნი და ძალა-უნებურად უნდა წაეტანოთ თევზსა და, თუ გაჭირდა, ცხვარსა.

ხილეულობა უფრო სპარსეთიდამ შემოდის და ძალიან იაფიც არის: „аадынъ—аадынъ чіапикъ“-ო, მითომა თითო-თითო კაპეიკიო, რუსულად გეტყვის სპარსელი მედუქნე, როდესაც დააფასებინებ ბროწეულსა თუ კომშს. თუ ეს ხილი თითო-თითობით იყიდება კრასნოვოდსკში, სამაგიეროდ საზამთროსა და ნესვს წონითა ჰყიდიან—ფუთი 40—60 კაპეიკი ჰღირს.

**

კრასნოვოდსკში სახლები ნაშენია თეთრის თლილის ქვით და თითქმის მუქათად დაიქირავებთ. სილამაზით იქაური შენობები არ ჩამოუვარდება სხვა ქალაქებისას. მეტადრე მოსაწონი ის არის, რომ სახლის ბანები ჩვენსავით წოპლოპინა-კი არ იციან, ხელის გულივით გაშლილსა და სწორეს აკეთებენ. ჩვენში სახლის დახურვა თითქმის იგივე ღირს, რაც შენობის აგება, რადგან დიდ-ძალი ხეტყე უნდება, კრამიტი და სხვანი. იქკი წააყრიან მიწას, დაასხმენ ზევიდამ ასფალტსა და ბანი ისეა მორაკრაკებული, რომ რათაც უნდა ღირს ზედ საღამოების გატარება და ძილი. ჯერ ჩვენშიაც-კი ასეთი ბანები სამჯერ იაფად დაჯდება, ვიდრე ჩვენებური ქვიანი ბანები, და ქარიც ნაკლებ ზარალს მოგვცემს.

კრასნოვოდსკში სცხოვრებენ უფრო სომხები და რუსები, ალებ-მიცემობაში არიან ყირგიზებთანა და თურქმენებთან. სცხოვრებენ აგრეთვე თურქმენებიც. ლამაზი, ახოვანი, მოსული, ღონიერი, ჰკვიანი და ქართველურად უბოროტო ხალხი ყოფილა ტურქმენები, რამდენადაც შემეძლო მათი გაცნობა ჩემს ყოფნაში. იქ თვით სომხებიც დიდად განირჩევიან იმ სომხებისაგან, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ. ქამთა ვითარების წყალობით,

ჩვენც ვიცით, რომ „таковы“, მაგრამ გაზეთმა ეგ „таковы“ «не таковы» გამოიყვანა და თავისი სამარცხვინო ავ-ენობა და ჭორი ერთს სიმაღლეზედ დააყენა იერინგის საზოგადოების ხმასთან, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ჭორი და ავ-ენაობა შეუტოლა ხმას ერისას და ხმას ღვთისას.

ესე მოექცა გაზეთი საწყალ ისპანელ პოეტს ეჩეგარაისაც. ამან თავისს დრამაში გამოსახა ზედმოქმედება ავ-ენაობისა და ჭორისა‘ რომელთაც მთელი პატიოსანი ოჯახი პირქვე დაამხეს, და გაზეთმა აიღო და აქედამ ის გამოიყვანა, რომ აქ პოეტი ავ-ენაობასა და ჭორს ზნეობის მფარველად და პატრონად გვიხატავსო. საიდამ სადა?

ვინ იცის, იქნება ეგრეც იყოს, ვითომც იერინგი და ეჩეგარაი მართლა ჰმოწმობენ თავ-გასულს გაზეთს იმაში, რომ ჭორი და ავ-ენაობა ერთი ღვთის წყალობა რამ არის, რომ ერთიც და მეორეც ზნეობისა და სათნოების მფარველი და პატრონია კაცთა შორის. რა გამოდის აქედამ? მარტო ისა, რომ საწყალი იერინგიცა და საცოდავი ეჩეგარაიც უდროოდ ჭკვაზედ შემცდარან და საგიჟეთში გასაგზავნი არიან. ვინც გინდ იმოწმოს ხსენებულმა გაზეთმა, განა შესაძლოა ეგ შავი ჭირი ადამიანისა გაათეთროს კაცმა! ჭკვათა მყოფელი კაცი განა იტყვის, რომ ბოროტი მფარველია და პატრონი კეთილისაო? განა ზნეობა ადამიანისა თავის თავად უღონოა და მარტო ჭორისა და ავ-ენაობის შიშით-ღა უნდა სუფევდეს კაცთა შორის? ნუ თუ მართლა ეგ შიში რომ არ იყოს, ზნეობა, მართებულობა, სათნოება თავისს თავს ვერ დაიფარავს, ვერ უპატრონებს, ვერ გაიტანს! თუ ჭორი და ავ-ენაობა, ხსენებულ გაზეთის სიტყვით, მფარველია და პატრონი კეთილ ზნეობისა, რადგანაც აფრთხილებს კაცსა ავი საქმე არ ჩაიდინოს, მაშ ქურდობაც მფარველია და პატრონი ადამიანის ქონებისა, რადგანაც იგიც აფრთხილებს ყოველ ცალკე კაცს კარგად შეინახოს თავისი ქონება.

ეს-ღა აკლდათ ჩვენს მეჭორეებს, თუ ხსენებულის გაზეთის მოძღვრება ხელზედ დაიხვიეს და გაჰქლესეს თავისი ენები. აქამდე ცოტა არ იყოს სირცხვილი უდუნებდათ ენას და ეხლა ჯილდოსაც მოითხოვენ, მაშ! . ზნეობასა და მართებულობას ვემსახურებითო!..

ტყუილად გარჯილა „Новое Время“ და სცდილობს შავი გაათეთროს. ნათქვამია:

არ გათეთრდება ყორანი,
რაც გინდ რომ ჰხეხო ქვიშითა.

## ახალი ამბავი

*** ჩვიდმეტს ამ თვისას «წერა-კითხვის საზოგადოების» სასარგებლოდ კონცერტი იქნება გამართული. ამ კონცერტში მონაწილეობას მიიღებს და ქართულს სიმღერებს იმღერებს ქ-ნი ზარუდნაია.

*** ტფილისის გაზეთები იუწყებიან, რომ განსვენებულს ზაქარია გორგაძეს, რომელიც ამ თვის ჩვიდმეტს დაასაფლავეს, უანდერძებია ხუთასი მანეთი ეჩმიაძინის ტაძრის შესაკეთებლად და კუკის ღვთის-მშობლის ეკკლესიისა და სკოლისათვის; სახლი, რომელიც ოცდა-ხუთი ათასი მანეთი ღირს, უანდერძებია ეჩმიაძინის მონასტრისათვის.

*** გაზეთი „Новое Обозрѣніе“ იუწყება, რომ მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოების თავ-მჯდომარეს ქ-ნს უვაროვისას უთხოვნია ქუთაისის გუბერნატორისათვის დაიცვას გაძარცვისაგან ბაგრატის ტაძრის ნანგრევები; უვაროვისა აგრეთვე სთხოვს ბ-ნს გუბერნატორს: შემატყობინეთ, თუ რა ზომას იხმართ ხსენებულის ტაძრის დასაცავად, რათა მისს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს მოვახსენოო.

*** დ. იგდირიდგან გვწერენ: „ივერიაში“ გადმობეჭდილი იყო ერთის რუსულ გაზეთიდგან ამბავი გამოჩენილის ყაჩაღ ქიარიმას შესახებ; ეს ამბავი, რამდენადაც ჩვენ ვიცით ნამდვილის წყაროდგან, ცოტა ჭეშმარიტებას მოკლებულია და ამიტომ გატყობინებთ ნამდვილსა და ჭეშმარიტს ამბავს: ეს ამბავი იგდირის მაზრის უფროსს მოუვიდა ბაიაზეთის ქალაქის უფროსისაგან. ბაიაზეთის (ოსმალეთშია) უფროსი სწერდა შემდეგს: ჩვენში ამ ბოლოს დროს გამოჩნდა თავ-გასული ყაჩაღი ქიარიმა, მოჰკლა ორი კაცი, სომხის მღვდლის შვილები, და რამდენიმე კაციც გაცარცვა. ჩვენმა მთავრობამ ამის გამო დაავალა თავისს ხელ-ქვეითებს; თუ შეიძლებოდეს, დაიჭირეთ და თუ წინაამდეგობა გაგიწიათ, მოჰკალითო. ჯარის-კაცები ერთს ადგილას მოეწივნენ ქიარიმას, თოფის სროლა გაუმართეს ყაჩაღს და თითქმის ყველა ამხანაგები დაუხოცეს. თითონ ქიარიმამ-კი, თუმცა ხელშია დაჭრილი, მოახერხა გაქცევა, გადავიდა სპარსეთის საზღვარზედ და დაიმალა. ეხლა მე გავიგე, რომ რომელღაც სოფელში რუსის საზღვრის ახლო ერთს სპარსელთან არის დამალული და დაჭრილს ხელსა სწამლობსო. ეცადეთ თქვენც მიაგნოთ მალე იმისს კვალს, რადგან ეხლა ძლიერ ადვილია იმისი დაჭერაო. რამდენისამე დღის შემდეგ ამ ამბის მიღებისა იგდირის მაზრის უფროსთან ერთი თათარი მოვიდა. იმ თათარმა უთხრა იგდირის მაზრის უფროსს: თუ თქვენ იმ ფულს, რომელიც ქიარიმას დასაჭერად არის გადადებული, მე მომცემთ, დაგისახელებთ იმ სოფელსაც და იმ კაცსაც, რომლის სახლშიაც იქნება ქიარიმაო. მაზრის უფროსმა ეს ამბავი ერევნის გუბერნატორს მოახსენა და მისისავე ნებართვით გაემგზავრა ჩაფრებით დაჭრილ ქიარიმას შესაპყრობლად სპარსეთისკენ. თან წაიყოლა აგრეთვე ზემოდ მოხსენებული კაცი.

აქაურის მაზრის უფროსი ბ-ნი პირუმოვი ცდას არ აკლებს; ამას არა ერთი გავარდნილი მოუსვენარი ავაზაკი დაუჭერია და ვგონებთ, ქიარიმას დაჭერაც არ გაუძნელდება, მეტადრე ეხლა, როდესაც თვით ქიარიმა დაჭრილია. მაზრის უფროსს თან ახლავს ავაზაკების დაჭერაში დახელოვნებული «ურიადნიკი» ტატო ცხოვრებაშვილი. თუ ზემოდ მოხსენებული თათარი გზის დასახლართად არ არის მოსული, ცხადია, რომ ქიარიმას ადვილად შეიპყრობენ.

*** ახალციხიდგან გვწერენ: ამ თვის 17-ს გარდაიცვალა ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ ახალციხის საკათედრო ტაძრის დეკანოზი და ბლაღოჩინი ახალციხისა გრიგოლ დავიდოვი. ოც-და-ხუთს წელიწადზე მეტი მამა დავიდოვი ჰმსახურებდა ქრისტიანობის გამავრცელებელის საზოგადოების ხელქვეით. სემინარიის დასრულების შემდეგ განწესებული იყო პირ-იქით ოსეთში და შემდეგ გადმოიყვანეს გორის მაზრაში. 1873 წლიდამ დავიდოვი ბლაღოჩინად იყო ს. ჯავაში და ამ ხუთის წლის წინად იგი გადაიყვანეს იმავე თანამდებობაზე ახალციხეში. ამ დეკანოზს დარჩა შვიდი წვრილ-შვილი. იმედია, მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება უყურადღებოდ არ დააგდებს იმისს ქვრივ-ობლებს, მით უფრო, რომ მამა დეკანოზს არავითარი ქონება არ დაუტოვებია.

*** ნოემბრის 21-ს არსენალის ქუჩაზე უპოვნიათ პატარა ბავშვი. ბავშვი გაგზავნეს საბებიო ინსტიტუტში.

*** 10-ს ამ თვისას, მეათე განყოფილებაში, რკინის გზის სადგურის პირდაპირ, აკოფ სარქისოვის სახლში, ზურაბ ბრუიძის სადგომიდგან, როცა სადგომის პატრონი სახლში არა ყოფილა, ვიღაცებს კლიტე გაუტეხნიათ და წაუღიათ სხვა-და-სხვა ნივთი სულ 287 მანეთისა და 48 კაპ. დამნაშავეთ ეძებენ.

*** 21-ს ამ თვისას, ღამით, სირაჯხანაში, ტფილისის მცხოვრების გიგო ლობჟანიძის სარდაფიდგან ვიღაცებს მოუპარავთ 130 მანეთი ფული და ვერცხლის ქამარი. ქურდებს ფანჯარაში რკინის ბაჯე გაუტეხიათ. დამნაშავეთ ეძებენ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

გორი, ნოემბერი. ამ ნოემბერში ბევრი რამ მოხდა გორში: კაცის სისხლიც დაიღვარა, ადვოკატებმაც ბევრს დედა აუტირეს, ნაცარტუტი აადინეს ბევრის ოჯახს. მერე რაც ერთ ნაირი, ესრედ წოდებული „ძაღლ-ადვოკატები“, შემოგვეჩვივნენ, მას შემდეგ ხომ, იმერლისა არ იყოს, მთლად დევიმსენით და ის იყო! მაგრამ ამაზედ ლაპარაკი განა ღირს! რა გასაკვირველია ამ დროში, რომ ბეჩავი კაცი მოატყუონ, გამოართვან რამდენიმე მანეთი და უთხრან, რომ ეს მარტო „ზაკონების“ გასასინჯია და დანარჩენიც მოიტანეო. ყასაბი იმისი ყასაბია, რომ, როცა ჰკლავს პირუტყვსა, ხელი არ უკანკალდება. მე ამ ჟამად სულ სხვა საგნებზე მოგიყვებით ლაპარაკს. მაშ დავიწყოთ.

ამ თვის 13-ს, დილის სამს საათზე, ცეცხლი გაუჩნდა გორის სასულიერო სასწავლებლის ახლად აშენებულს სახლს. ეს ახალი სახლი ჯერ-ჯერობით ისევ იჯარადარის ხელშია, სასწავლებლის გამგეობას ჯერ არ ჩაუბარებია. ცეცხლი გაუჩნდა ჩრდილოეთის მხრივ ქვემო სართულში; დაიწვა ერთი ოთახი, სადაც ხის მასალა ეწყო. უნდა დავუმადლოთ ბ-ნ გორის რკინის გზის სადგურის უფროსს კალ—შვილს, რომელმაც მოაშველა მუშები და ცეცხლის საქრობი მაშინა. მაშ არა-და გორის ქალაქის გამგეობა შეიწუხებდა თავსა! ცეცხლის საქრობიცა აქვსთ, თითქო მოთავენიც არიან, ქალაქის პატრონებს რომ ეტყვიან, ისინი, მაგრამ უარარაობაა ამათი ყოფნა. სწორედ „იყო და არა იყო-რაა“ ამათი საქმე. ქალაქის გამგეობამ მეორე დღეს შეიტყო, რომ ცეცხლი ეკიდა სახლსა და, რომ ქარი ყოფილიყო, ბევრს სახლებს გადასწვავდა. სახლი დაზღვეულ ჰქონია იჯარადარს ოთხი ათას შვიდას თუ რვაას თუმნად. ამ დღეებში მოელიან აგენტსა და ხუროთ-მოძღვარს დამწვარის ოთახების გასასინჯად და შესასოწმებლად. ერთი ოთახის იატაკი, ჭერი, კოჭები სულ დაიწვა; დაიწვა ხის მასალაც, რომელიც შიგ ოთახში წყობილა. ცეცხლი, როგორც ჰფიქრობენ, გაუფრთხილებლობისაგან გაჩნდა: ალბად მუშებმა პაპიროზის წევის დროს გაუფრთხილებლობით წუმწუმა გადააგდეს და იქიდამ გაჩნდა. მაინცა და მაინც სასწავლებელს ზარალი არ მოსვლია; იჯარადარიც, იმედია, ხელს არ დაიწვავს, რადგან დაზღვეული ჰქონია. ვნახოთ, გამოძიება რას აღმოაჩენს, ან აგენტი და ხუროთ-მოძღვარი რას იტყვიან. ამასაც შეგატყობინებთ.

როგორც გაზეთებიდამ შეიტყობდით, გორში ქართული წარმოდგენა იყო ამ თვის ათში, გორი-ჯვრობა დღეს. წარმოადგინეს „უჩინ-მაჩინის ქუდი“, „დედა და შვილი“ და „ბიძასთან გამოხუმრება“. „უჩინ-მაჩინის ქუდი“, ცოტა არ იყოს, ცუდად წავიდა. აქ მიზეზი თვით პიესაა: ძალიან დაძველდა. დაძველების გარდა ერთობ უშნო და წრეს გასული მასხრობა-ლაზღანდარობაა, მაგრამ პრო-

---

ჩვენებურს სომეხს რომ შეჰხვდებით გზაში, იმისს შემკრთალს სახეს ნაძალადევი წარწერა გაჰკერია და, თუ კითხვა იცი, მაშინვე ამოიკითხავ ამისთანა უცნაურს სიტყვებს: „ჩამოდექით, ქართველნო, სომეხი მობძანდებაო“. მართალია, ეს სიტყვები ისე უადგილოდ არის წარწერილი, რომ სიცილის გუნებაზე მოსდიხართ, მაგრამ მაინც გულს მაკლდა ხოლმე, როდესაც-კი ამისთანა ანბანს წავაწყდებოდი და ასეთს უგვანს მეზობლობასა ვხედავდი. სრულებით სხვა პატივი და გრძნობა ვპოვე შორეულს სომხობაში. იქ ყველანი მადრიელის თვალით მიყურებდნენ მე, როგორც წარმომადგენელს იმ ერისას, რომელმაც გული გაუხსნა ამ ყოვლად ტანჯულს მეზობლებს და გაუჩინა მკვიდრი ბინა, თავ-შესაფარი და ამასთანავე არ მოაკლო ქართველური უხვი სუფრა ცხოვრების სარბიელზედ. ჩემი უბოროტო თანამემამულე ადვილად მიმიხვდება, თუ რამდენად საამურად უნდა დამრჩენოდა ასეთი კეთილშობილური გრძნობა მადლობისა და ასეთი ჭკუა, რომელიც არა ბრმავდება ღროებითის გამარჯვებით, არა ამაყობს შემთხვევითის ფულიანობით და არ გადაგიხდის სიკეთეს სიავკაცით. როდესაც ამისთანა წარმომადგენელნი მოეპოვება ერს, იმისი საქმე ჯერ კიდევ წასული არ არის-მეთქი, ვამბობდი ჩემს გულში და ვხარობდი ჩვენის სამეზობლო ერის მერმისით. ღმერთმა ჩქარა გაუხილოთ მათ ყველას უტყუარი თვალი და სამეზობლოდ გაწვდილი ხელი შეაფერებინოთ ღირსეულად...

**

იქნება ბოლოს იმის ცნობაც გინდოდესთ, თუ რას ვაკეთებდი კრასნოვოდსკში და როგორ ვატარებდი დროებას, როგორც ქართველი მგზავრი. მოგახსენებთ. გავიღვიძებდი თუ არა დილით, მაშინვე, პაპიროსით ხელში, მივეშურებოდი ზღვაში საბანაოდ. მერე ჩაის გიახლებოდით, რადგან ჩვეულებადა მაქვს გადაქცეული. შემდეგ ან წავიდოდი ისევ ზღვის პირას და პტყელ-პტყელს ქვებს ვაგროვებდი. ასამდინ ქვა რომ შედგებოდა, ავიღებდი სათითაოსა და ისე გავისროდი, რომ მოჰხვედროდა წყლის პირსა, ამხტარიყო, გადამხტარიყო, მერე ისევ ამხტარიყო და ისევ გადამხტარიყო, მანამ სროლის ძალა დაეკარგებოდა და ჩავარდებოდა წყალში. ამ ვარჯიშობით ისე დავხელოვნდი, რომ წამოსვლისას შემეძლო ერთხელ ნასროლი ქვა თორმეტჯერ მაინც შემეხტუნებინა წყლის ზედა პირზედ. უჰუჰუ, რა ლამაზად მისრიალებდა ყე ი ტიალი!.. ან არა-და, ჩავსხდებოდით ნავში და რამდენისამე დღით მივდიოდით სხვა-და-სხვა მთიან ადგილებზე, რომ დავმტკბარიყავით მზისა და მთვარის ჩასვლა-ამოსვლით. დღეში ხან სამჯერ, ხან ოთხჯერ უთუოდა ვბანაობდი. დავსეირნობდი განუწყვეტლივ, რადგან საუცხოო სანახავებით სავსეა ამ ქალაქის მიდამო.

**

მართალია, ქართველის მოგზაურისათვის სრული ღვთის წყალობაა ქვების გასრიალება ზღვის ზედა პირზე და თითქმის სრულებით საკმარისია, რომ გული გააყოლოს ასე არათუ რამდენისამე კვირაობით, არამედ წლითი-წლობამდე, მაგრამ მე მაინც არა ვსჯერდებოდი მარტო ამ დროს გასატარებელს საქმეს. ხშირად მთის წვერზედაც ავიდოდი და იქიდამ ან წვრილს ქვას ვისროდი ძირს, რომ დამენახა, რამსიშორეთ შეუძლიან ჩვენს შუათანა თანამემამულეს ქვის გასროლა, ან არა და ავილებდი დიდრონ ლოდებსა და მაღლიდამ დავაგორებდი ხოლმე. ჰუჰუ! ი დასაქცევი ზოგი ლოდი, მეტადრე თუ ცოტა მორგვალოც იყო, რა ფხაჭა-გლეჯით მიიმტვრევდა თავ-პირსა და რამოდენა წვრილსა და სხვილს ქვას აიდევნებდა ხოლმე!.. ადამიანი ცქერით ვერ გაძღებოდა, ჩემმა მზემ.

ყველაზე კარგი-კი ის იყო, რომ სალამ-სალამობითაც ვახერხებდი დროს გატარებას ისე, რომ ცვარი ღვინოც არ ჩამეშვა პირში და ნუნუას სენიც არ მომხვედროდა. ვიცი, რომ ამასკი არ დამიჯერებს ჩემი თანამემამულე, მაგრამ რა გაეწყობა. მე-კი ჩემსას ვიტყვი და, თუ ეჭვით არ შემომხედა ჩემმა მკითხველმა, რა კარგი,—შემომხედავს ეჭვიანის თვალით კიდე-და, ე ეც არ მეწყინება, პირიქით, ესეც მიამება, რადგან ეჭვი იმის მომასწავებელია, რომ შენს სიტყვას ყურს უგდებს მობაასე, კიდეც სწონავს შენს ნათქვამსა და მხოლოდ ჭკუაში არ უჯდება. ესეც დიდი რამ არის ჩვენს დროში, იმიტომ რომ ჩვენი თანამემამულე უმეტესად სრულებითაც არ გიგდებს ყურსა და ლაპარაკი რაღაც რახა-რუხად მიაჩნია საზოგადოდ.

აი რაში მდგომარეობდა ჩემი დროს გატარება სალამოობით. კრასნოვოდსკში პატარა გემი კვირაში სამჯერ მოდის და ატყობინებს მკვიდრთ, რომ ისინი არ არიან ერთობ მოწყვეტილნი დანარჩენ ქვეყნიერობისაგან. ამის გამო, დაიყვირებს თუ არა გემი, რომ მოვდივარო, მთელი კრასნოვოდსკი, ვისაც-კი მუხლში ღონე შესწევს, მიეშურება გემის სანახავად. მთელის გემით უნდა მოვიდეს ორი, ან ორნახევარი ადამიანი, მეტი არა, მაგრამ მაინც მიეგებებიან, რომ ქვეყნიერო-

ვინცის ქალაქები პიესების უქონლობის გამო ძალა-უნებურად ჰკიდებენ ხელს ამისთანა უხეირო პიესებს. ეჭვი არ არის, რომ ამ პიესას თავის დროზედ დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა და დიდადაც მოსაწონი იქნებოდა საზოგადოებისათვის, მაგრამ ეხლა? ეხლა მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა ღა აქვს „უჩინ-მაჩინის ქუდს“. საზოგადოება, რომელიც ამ წარმოდგენაში ერთობ ცოტა დაესწრო, სულ ერთიანად დაგვიფრთხებოდა, რომ შემდეგს პიესებს კარგად არ ჩაეარნათ. „დედა და შვილის“ თამაშობის დროს ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ თითქოს ადამიანის ჭაჭანება არ არისო. დედას თამაშობდა ქ-ნი ს. ლომაურისა, შვილს—ბ-ნი სვ. გოგ—ძე. ორთავემ საუცხოვოდ შეასრულეს როლები. ბევრმა იტირა და ცხარე ცრემლები ჰღვარა. როცა ვაჟკაცური ორპირული შემოსძახეს კულისებს უკან, მაშინ ხომ ხალხის სულის ღელვასა და შფოთვას საზღვარი არა ჰქონდა. ბევრმა ითხოვა, რომ ეს დრამატიული სცენა კიდევ გაიმეორონ. აგრეთვე რიგიანად ჩაიარა „ბიძიასთან გამოხუმრებაც“. როგორც ვსთქვით, ხალხი ცოტა დაესწრო; სულ იყო შემოსავალი 69 მანეთი და ხარჯს გარდა ხუთ თუმნამდე დარჩა.

—

ამ თვის ჩვიდმეტს დანიშნული იყო კრება გორის სამასწავლებლო ოლქის სამღვდელოთა. ეს კრება იყო სამაგიერო იმ კრებისა, რომელიც თიბათვის 25-ში არ შესდგა. ამ სამღვდელო კრებას ბევრის ძალიან საჭირო საგნების გარდაწყვეტა ჰქონდა ვალად. სასწავლებლის სამმართველომ წარუდგინა განსახილველად უფრო ის საკითხავები, რომელიც შეეხებოდა სასწავლებლის ახალის სახლის მოწყობას. ახალს სახლებში, ზემო სართულში, ეკკლესიაც ააშენეს; სასწავლებლის გამგეობა სთხოვდა, რომ ეკკლესიის კანკელისათვის ფული იზრუნ-იგულეთო. სასწავლებელს ამ ჟამად ორას ორმოცდა-ათი (250) მოსწავლე ჰყავს. რაკი ახალს სახლებში გადავლენ, მაშინ დღითი-დღე იმატებს მოსწავლეთა რიცხვი და ერთი-ორის წლის შემდეგ აწინდელი რიცხვი მოსწავლეთა სამასს ადვილად გადააჭარბებს. მაშინ ამდენის ბავშვების ტარება სხვა ეკკლესიაში საძნელოა; ალაგსაც ვერ იშოვნიან მათთვის დასაყენებლად. იმ შემთხვევაში-კი, თუ საკუთარი ეკკლესია ექმნებათ, ძალიან ხეირიანად მოვა საქმე. ბავშვები საკუთარს ეკკლესიაში ივლიან; ამას გარდა თვითონვე მოეხმარებიან წირვა-ლოცვაზე, შეისწავლიან ამ გვარად წირვა-ლოცვის წესებს, გაიმართებიან საეკკლესიო წიგნების კითხვაში, რომელიც ასე ნაკლებად იციან ეხლანდელმა სემენარიელებმა და რომლის საჭიროებაც ასე აუცილებელია. წარმოიდგინეთ, კრებამ უარ-ჰყო ეს საკითხავი სასწავლებლის გამგეობისა და ახლა რა საბუთით? რადგანაც პანსიონი არ არის ჯერაო, ამიტომ როცა პანსიონი გაკეთდეს, ეკკლესიაც მაშინაო; მანამდის-კი იარონ სხვა ეკკლესიებშიო. მაგრამ აქ ეს საბუთი არა ჰქონდათ ზოგიერთებს; ამ საქმეს, ვგონებ, ხრიკი უგდეს გორის მღვდლებმა. მე აქ ერთს მოსაზრებას ვიტყვი და ნუ გამიწყრებიან. ღმერთო, შეგცოდე, და ამათ იფიქრეს მგონია: სასწავლებელში რომ ეკკლესია გაიმართოს, ჩვენ ხომ მრევლი მოგვაკლდება და, მაშასადამე, შემოსავალიცაო; მაშ რად გვინდა იქ ეკკლესიაო. არა მგონია-კი ჰფიქრობდნენ და თუ ეს ჩემი მოსაზრება მართალი გამოდგა, ვსწუხვარ, რომ კუჭის საქმე მაღლა დაუყენებიათ ნამდვილსა და ჭეშმარიტად სასარგებლო საქმეზე. საქმე ის არის, რომ ახალს სასწავლებელში ეკკლესია მზად არის, მხოლოდ კანკელი-ღა აკლია და ამ მცირე მოწყობილობის გამო ასე უნდა დარჩეს. იმედია, სასწავლებლის გამგეობა თავისის მხრივ ეცდება და ამ საქმეს, რომელსაც სამღვდელოებამ ასე გულ-გრილად შეხედა, არ ჩაშლის და რაიმე საშუალებას აღმოაჩენს კანკელის გასამართავად.

მეორე საჭირო საკითხავი, წარდგენილი სასწავლებლის გამგეობისაგან, შეეხებოდა მესამე განყოფილების გამართვას მოსამზადებელის კლასისას. „ივერიის“ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამ შემოდგომაზე სასწავლებლის გამგეობა იძულებული იყო კაცთ-მოყვარეობისა და უმცროსთა თანამოძმეთა გულ-შემატკივრობის გამო გაემართნა მესამე განყოფილება მოსამზადებელის კლასისა. სასწავლებლის ზედამხედველმა ბ-ნმა დ. დ—ლმა მაშინ წარმოადგინა შემდეგი აზრი: გაიმართოს მესამე განყოფილება, განწესდეს ეხლავე მასწავლებელი და დაენიშნოს ხუთასი მანეთი ჯამაგირად სწავლის ფულიდამ, რომელიც შემოდის ბავშვებისაგან, ეთხოვოს სამღდელოთა კრებას, რომ ეს ფული იმათ შეავსონ შემდეგში. ზედამხედველის აზრი დაამტკიცა ყოვლად სამღვდელო პალადიმ და დღეს სასწავლებელს აქვს მესამე განყოფილება. მაგრამ გორის სამასწავლებლო ოლქის სამღვდელოებამ ამ საქმეშიაც ერთობ გულ-გრილობა გამოიჩინა. როცა ჰმართავდნენ მესამე განყოფილებას, არც ზედამხედველს, არც სხვა წევრებს სასწავლებლის გამგეობისას თავისი კერძო სარგებლობა არა ჰქონიათ სახეში და იმითი არ უხელმძღვანელნიათ. ამ განყოფილების გამართვით ზედამხედველსა და იმისს თანაშემწეებს ჯაფა და გარჯა მოემატათ; ამას მაინც არ მოერიდნენ და გამართეს, იქამდის გული შესტკიოდათ ხალხისათვის. სამღვდელოება-კი თითქმის უარზეა და ამბობს: ამ განყოფილებამ დაირჩინოს თავი იმ სწავლის ფულით, რომელსაც მოსწავლეები შემოიტანენო. სწავლის ფული გადახდეთ სამღვდელოთა შვილთაცაო. ძალიან კარგი! მაგრამ რას ეუბნებით სამღვდელოთა ობლებს, რომლებიც არა მცირე რიცხვს შეადგენენ სწავლის მსურველთა შორის? საიდამ მოგცენ ერთი თუმანი? მაშ ამათ უნდა მოესპოთ სწავლის სახსარი? უნდა შეუკრათ გზა სწავლისა? აქაც წინ დააყენეს თავისი კერძო სარგებლობა; აქაც კუჭი, ეს ცხრა თავიანი დევი ჩვენის ცხოვრებისა, კრიჭაში ჩაუყენეს საზოგადო საქმეს. ამ გვარს გარდაწყვეტილებაში ცხადად გამოსჭვირს ის აზრი, რომ მესამე განყოფილება არაფრად ეპრიანება სამღვდელოებას.

## ქალაქის საბჭო

21 ნოემბერს

ორშაბათის კრება ტფილისის საბჭოსი მთლად მოუნდა ვანხილვას ყორღანოვის მილის წყლის საქმისას. როგორც მკითხველებმა იციან, ქალაქსა ჰსურს შეისყიდოს ყორღანოვის მილის წყალი. ადრევე ამ საგანზე მსჯელობა ჰქონდა საბჭოსა და გარდასცა ცალკე კომისიას, რომ შემუშავებულიყო პროექტი ამ შესყიდვისა. წარსულს სამშაბათსა და ამ კვირის ორშაბათს საბჭოში ლაპარაკი იყო ამ საგანზე. ბევრი სხვა-და-სხვა აზრი წარმოითქვა ორსავე კრებაზე სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ კომისიის პროექტისა და აგრეთვე წინააღმდეგ შეძენისა. მოვიყვანთ მოკლედ უმთავრესს შენიშვნებს ამ საგნის თაობაზე.

ვეისენგოფი. ჩემის აზრით, აჩქარებული ანგარიშია გამგეობისა და კომისიის მხრივ, ვითომც სასარგებლო იყოს ქალაქისთვის შეძენა ყორღანოვის წყლისა. ჰგონიათ, ვითომც შესყიდვასთანავე გასავალი წყლისა ერთი ორად იმატებსო. ეს შეუძლებელია. იქნება კიდეც იმატოს, მაგრამ მატება თანდათანობით მოჰხდება და შესაძლოა, რომ ათის წლის შემდეგ მართლა ერთი ორად მეტი მუშტარი ჰყვანდეს წყალსა. საქმის ვითარება და ფასები ჩვენის წყლისა ისეთია, რომ პირიქით ყორღანოვის წყალი თავისთავს ვერ გამოისყიდის და წელიწადში თითქმის ცხრა ასი თუმანი უნდა მომეტებული დააყაროს ქალაქმა. ამასთანავე ასიოდე წყლის საზომავი მაშინა უნდა დასდგას და ესეც ელირება ათას ხუთას თუმნამდე. ესეც მეტი ხარჯია. პირობის გასვლამდე, ე. ი. ათის წლის უკან ქალაქმა უნდა გარდაიხადოს გარდაწყვეტილია ფასი და ზედ დააყაროს კიდევ ათი ათას ხუთასი თუმანი. რისთვის მერე? სულ იმისთვის, რომ ვადის შემდეგ დაგვრჩეს სამი ათას ხუთასის თუმნის საქონელი—თიხის მილები. ამის გამო, ჩემის აზრით, დიდი ზარალი მოელის ქალაქს ყორღანოვის წყლის შეძენით. იქნება ეგ ზარალი მაინც იკისროთ, რადგან გეფიქრებათ, რომ ქიშპობა, კონკურენცია, არ გაგიწიოთ ყორღანოვის მილის წყალმა. ეს შიში სრულებით უნიადაგოა, იმიტომ რომ ჩვენი წყალი სჯობია ყორღანოვისას და მუშტარიც ამას მოაწყდება თანდათან. გარდა ამისა ჩვენ შეგვიძლიან ყორღანოვს აღვუკრძალოთ სხვა მილების გაყვანა და იმ სამზღვრებს არ გავაცილოთ, სადაც დღეს ამუშავებს. ამითი არც მწვადი დაიწვება და არც შამფური, არც ყორღანოვს დავაძალებთ მილის დაკეტვას, არც ჩვენს ჯიბეს ვაზარალებთ.

კაიდანოვი. საქმე აშკარაა და ზარალი-კი არა, მოგება ექნება ქალაქს მაგ წყალის შეძენით. ამიტომ ამ საქმეს საშიშარი არა სჭირს-რა.

ზუბუთოვი. მე არ ვეწინააღმდეგები ყორღანოვის წყლის შეძენას. ხოლო იმასა ვშიშობ, რომ საქმეს დაუდევრად არ მოვეკიდნეთ და მახეში არ გავებათ, როგორც არა ერთხელა და ორჯელ მოგვსვლია. ყორღანოვს ხელ-წერილები აქვს შეკრული ხაზინასთან და ასამდე კერძო კაცთან შესახებ წყლის ხარჯვისა. ხელ-წერილის ძალით წყალი უნდა იყოს მტკვრისა და თანაც ფილტრით გაწმენდილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმაა დადებული. ვინ გვითავდებებს, რომ მტკვრის წყალს არ მოგვთხოვენ ჩვენი ახალი მუშტრები, თუმცა ჩვენი წყალი გაცილებით უკეთესია! თუ ჩვენ ამ მხრივ საქმეს სუფთად არ დავიჭერთ წინათვე და ყველას არ ჩამოვართმევთ ხელ-წერილს, მაშინ ჩვენ, ყორღანოვის წყალს-კი არა, გაუთავებელს პროცესებსა და დავი-დარაბას ვიყიდით ოქროს ფასად. გარდა ამისა საჭიროა გადაეცეს საქმე სატეხნიკო კომისიას, რომ უფრო ბეჯითად და სისწორით გამოიკვლიონ საგანი, რომელსაც ჩვენა ვსყიდულობთ ქალაქისთვის, რომ მერე თავში საცემად აღარ გაგვიხდეს საქმე.

იზმაილოვი. ჩვენ სრულებითაც არ ვიჭერთ საქმეს დაუდევნელად. ტეხნიკური მხარე ბეჯითად არის შესწავლული. ძალა მილებისა გამოცდილი გვაქვს. რაიცა შეეხება ხელ-წერილებს მუშტრებისას, ეგეც მოშორებულია თავიდამ, რადგან ყორღანოვი ჰკისრულობს, რომ თუ იმისმა მუშტარმა წინააღმდეგობა გამოგვიჩინა რამ და ფული დაგვიჭირა, ყორღანოვს გამოვურიცხავთ ფასიდამ. ყველაფერი მოფიქრებით და ცოდნით არის დაჭერილი და ამიტომ უნდა გადავწყვიტოთ საქმე.

ჩოლაყაშვილი. საქმის გადაწყვეტა დღეს შეუძლებელია, რადგან ბევრს არა გვესმის-რა თქვენის ანგარიშებისა. უნდა საფინანსო კომისიას გადაეცეს პროექტი გამოსაკვლეველად.

კაიდანოვი. აქ მხოლოდ უბრალო არითმეტიკული ანგარიშია საჭირო, რომ აშკარად დავინახოთ სარგებლობა ყორღანოვის წყლის შეძენისა.

ჩოლაყაშვილი. ბ-ნი ვეისენგოფიც უბრალო არითმეტიკულ ანგარიშებზე ამყარებს თავისს აზრს, მაგრამ-კი ამბობს, რომ ვიზარალებთო. თქვენც

---

ბისა შეიტყონ რამე. გემის დასადგომთან გამართულია ფართო და გრძელი ბაქანი ფიცრისა. ეს ბაქანი იყო შვება ჩემის გულისა. ამ ბაქანზე გამოვიკრიბებოდით, მოვიკეცავდით, ან წამოვწვებოდით ფიცარზე და შევყურებდით ცასა და ზღვას, რომელიც პატარ-პატარა ტალღებს ურტყავდა ბაქანს და განუწყვეტლივ ჩასჩურჩულებდა წყლისა თუ ხმელეთის გაუთავებელს ამბებსა. მე ძალიან ბუნდათ მესმის ზღვის ენა, მაგრამ მაინც არ მომწყინდებოდა ხოლმე, რომ შუაღამემდის სულ-განაბულს ყური მეგდო ამ ტკბილის ჩურჩულისათვის. ხშირად, როცა სრული სიჩუმე იყო ჰაერში და ჯერ არსადა სჩანდა მომავალის გემის ფარანი, გვესმოდა ხოლმე თითქმის ორმოცს ვერსზე აჩქარებული გუგუნი გემისა. მერე ფარანიც გამოჩნდებოდა და ასე ორ საათამდინ მოფეთქავდა გემი, მანამ არ მოვიდოდა ბაქანთან და არ შეისვენებდა.

**

კრასნოვოდსკი შესანიშნავი ქალაქია იმითიცა, რომ ტყუილად ეძებს იქ თქვენი შეჩვეული თვალი „გოროდოვოის“—ვერსად ვერა ჰნახავს. ჯერ-ხანად მე ძალიან გული მტკიოდა ამის გამო და მიძნელდებოდა სიცოცხლე. მერე-კი თანდათან შევეჩვიე ამ უბედურებას და ბოლოს იქამდე მიველ, რომ ადვილად ვახერხებდი სიცოცხლეს სრულებით უგოროდოვოდ. თითქმის თვე-ნახევარი დავყავ კრასნოვოდსკში და არ მახსოვს, რომ ან ჩხუბი და ან რამ ხმაურობა და დავიდარაბა მომხდარიყოს ქუჩასა, თუ დუქანში. დარწმუნებული ვარ, რომ „გოროდოვოის“ შემოღებას სრულებით სხვა სურათი მოჰყვება და სხვაფრივ წავა ამ ქალაქის საქმე, რადგან რაც უნდა იყოს, «გოროდოვოიც» კაცია და დილიდამ საღამომდე ისე როგორ იდგეს ქუჩაში, რომ „საქმე“ რამ არ გაიჩინოს, როგორც მაგალითად იჩენს გულგასაყოლებელს და დროების გასატარებელ საქმეს ამ ჩვენ დალოცვილ ტფილისში. დიაღ, მოვა „გოროდოვოი“ და მშვიდობით მამაშვილური განწყობილებავ კრასნოვოდსკისავ.

*

გარდა სომხებისა და რუსებისა, თურქმენებსაცა და სპარსელებსაც კარგადა სცოდნიათ, რა ხალხია ქართველი ხალხი, ვინ არის „გურჯი“. თითო ოროლა ნაცნობი გავიჩინე თურქმენებსა და სპარსელებს შორის. ერთხელ ამათ ისე მაწყენინეს, რომ თქვენი მოწონებული. ჩამოვარდა ლაპარაკი ქართველობაზე. მე ვრცლად ვუამბე, რაც საჭიროდ მეჩვენა, ჩვენს ადრინდელსა და აწინდელს ყოფაზე. მსმენელნი გულ-მოდგენით მიგდებდნენ ყურს. ბოლოს თითქმის ერთხმად გამომიცხადეს თავიანთი გაკვირვება, რომ მე თვითონ ურია ვარ და ასე დაწვრილებით-კი ვიცი გურჯისტანის აქიები. რამ გამაურიავა-მეთქი, ვიწყინე, მე ქართველი ვარ-მეთქი. სიცილად არ ეყოთ ჩემი სიტყვა და ხუმრობაში ჩამომართვეს: ჩვენ ვერ მოგვატყუილებ, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, როგორიც არის ქართველი—შენ რომ მართლა ქართველი კაცი იყო, ხომ ტანისამოსიც ქართული გეცმევაო. გურჯი ურიულს ტანისამოსს არ ჩაიცვამს და ძილშიაც-კი ქამარ-ხანჯალს არ მოიშორებს წელიდამაო.

აქ-კი აღარა მეთქმოდა-რა, მაშინადვე გავშორდი და მტკიცედ გადავწყვიტე რაც შეიძლება მალე გამოვიკანკლო ჩვენს მოხდენილსა და კეკლუც საცმელში, რომ მეზობლებმა ურიაობა აღარ დამწამონ. ამას მე ვერიდები იმიტომ-კი არა, რომ პატივს არა ვსცემდე ამ ყოვლად ტანჯულს ხალხსა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ურია ყველას თვალში ვაჭარია და მე, როგორც ქართველს, თავ-მოსაწონებელ ხელობად არ მიმაჩნია დღევანდელი ვაჭრობა, მეტადრე ჩვენებური...

კრასნოვოდსკში სულ სამი ქართველი კაცი სცხოვრობს: ერთი ყასაბია და ორიც ლაქია, მეტი არავინ. მე ძალიან მეტკინა გული, რომ ჩვენი კაცი სხვაგანაც-კი ლაქიაობის მეტს თითქმის ვერას ახერხებს. მაშინ როდესაც სხვა ხალხი ალებ-მიცემობს, მრეწველობს და მდიდრდება თვით ისეთს ქალაქებში, როგორებიც მე ვნახე კასპიის ზღვის გამხმარ და გავერანებულ აღმოსავლეთ ნაპირებზე, ამ დროს ჩვენი თანამემამულე ლაქიობაში ატარებს თავისს სიცოცხლეს. ეს ლაქიები დადიან ქუჩა-ქუჩა და ყველაფერს ხმა-მაღლა ლაპარაკობენ, რადგან ჰგონიათ, რომ იმათ მეტმა არავინ იცის ქართული ენა. ხშირად მომიკრავს ყური იმათის საუბრისათვის, რომელიც თითქმის მუდამ ამ შინაარსისაა: «დღესაც, ჩემო გოგიტავ, ვორი კაკალი შავური ავწაპნე ჩემს ბატონსაო!..“

ასეთის საგზლით გამოდის ჩვენი კაცი ცხოვრების სარბიელზედ ჩვენშიაც და სხვაგანაც!.. ნეტავი იმ ხანებში სრულებით დამვიწყებოდა ქართული ენა, რომ კრასნოვოდსკის მყუდრო ცხოვრება ჩემი არ მოეშხამნა ჩვენს ამ გვარს წარმომადგენლობას!.. ეს შხამი გამოვიყოლე თან და დღესაც, შემდეგ ჩემის უნებურის მოგზაურობისა, ყელზე მადგია.

სანო

იმავ ანგარიშებზე დამდგარხართ და იძახით—სასარგებლო საქმეაო. რომელ ერთს არითმეტიკას დაუჯეროს კაცმა, არ ვიცი. ალბად საქმე მაგეთი უბრალო არ არის და სწორეთ ამიტომაც გთხოვთ—ნუ დამატანთ ძალას, ნუ იხმართ ძალ-მომრეობას ჩემზე და ნუ ჩამადენინებთ ისეთს საქმეს, რომლისაც ჯერ არა მესმის-რა უტყუარად. რასა სჩქარობთ! ამდენი ხანი მოგვიცდია, კიდევ მოვიცადოთ ერთი სამიოდე კვირა, უკან ხომ არავინ მოგვდევს.

იზმაილოვი. ძალ-მომრეობას აქ არავინა ჰხმარობს. პირ-იქით, საქმე დინჯად მიდის აგერ ექვსი წელიწადია.

ბ-ნ იზმაილოვის თავ-მჯდომარეობით კენჭი უყარეს ბ-ნ ზებუთოვისა და ჩოლოყაშვილის წინადადებებს, მაგრამ საბჭომ არც ერთი არ შეიწყნარა.

## უცხოეთი

საფრანგეთი. ბულანჟეს მომხრეებმა ახალის კომედიის თამაშობა დაიწყეს. რაკი ჰხედავენ, რომ კანონიერის გზით, გულ-წრფელის მოქმედებით ვერას გავაწყობთ და რესპუბლიკას ვერ შევარყევთო, ახლა ხერხს მიჰმართეს და ამ ხერხით უნდათ გაიდნენ ფონს. საქმე იმაშია, რომ თითო-ოროლა სარესპუბლიკო გაზეთი ისე უცქერის ბულანჟეობას, როგორც კანონის მიერ, სახელმწიფოს მიერ შეუწყნარებელს ამბავსა და აცხადებს კიდეც, რომ მთავრობა ძრიელ უყურადღებოა, დაუდევრად იქცევა ამ საქმეში, უფრო მეტი ფხა უნდა გამოიჩინოს და წელში მოჰხაროს თავგასული ბულანჟეობაო. ასე უნდა მოიქცეს იმიტომ, რომ ბულანჟეს მომხრენი აღარას არა ჰზოგავენ და პირდაპირ ემუქრებიან დღევანდელს წეს-წყობილებას, სახელმწიფოს მშვიდობიანობასაო. თუ მთავრობამ განდევნა ტახტის მაძიებელნი პრინცნი და მეფეთა ჩამომავალნი, რატომ ამ დასის მეთაურებს-კი აღარ უნდა მოექცეთ უფრო მეტის სასტიკობითაო. სარესპუბლიკო გაზეთები იმასაც-კი ამბობდნენ, რომ ბულანჟემა და იმისმა დასმა ცხადად დაასკვნეს პირი მონარქიის მომხრეებთან ერთად სამოქმედოდაო. მიწერ-მოწერაც კი აქვსთ საზღვარ გარეთ მყოფ ტახტის მაძიებლებთანაო. ასეთს ხალხს მთავრობა, რესპუბლიკა ისე უნდა უცქეროდეს, როგორც მტრებსა, და მტრულადაც უნდა გაუსწოროს ანგარიშიო. აი ეს ლაპარაკი დაიხვიეს ხელზე ბულანჟეს მომხრეებმა, იფიქრეს, ბევრი იფიქრეს და გადასწყვიტეს, რომ, თუ ჩვენის თავის დახსნა გვინდა, ჩვენის საქმის გასწორება, სკანდალი უნდა მოვახდინოთო. ავიღოთ და დავაბრალოთ მთავრობას, თვით ფლოკეს, იმისს სამინისტროს, რომ იმათ შეთქმულობა აქვსთ ჩვენ წინააღმდეგაო და უსამართლოდ, სრულიად უდავიდარაბოდ უნდათ მოგვიშორონ თავიდამაო. ერთს მშვენიერს დღეს სამი ოთხიოდე გაზეთი ბულანჟეს დასისა, ბონაპარტელებისა და სხვათა კონსერვატორთა აცხადებს, რომ გაფრთხილდით, ფლოკეს ჩვენი შეპყრობა და დაპატიმრება უნდაო, ორ-ორი საპატიმრო მომზადებული აქვსთ კიდეც რესპუბლიკელებს, საცა უნდათ შეიპყრან ბულანჟე, ლაგერი, ლაროშფუკო, მაკო, ქოლიბუა, კასანიაკი, დე-მენი, როშფორი, რორი, მიშლენი, კეხლინ-შვარცი, სუსინი, ლეფონი, დილონი, ლალუ, ანდრიე და ბევრნი კიდევ სხვანიო.

ჩვენ ბევრ გვარი დამტკიცება გვაქვსო,—ამბობდნენ ეს გაზეთები, რომ მთავრობას სწორედ ასე განუზრახავს ჩვენი თავიდამ მოშორებაო. რატომ არა სცხვენიანთ, რომ ასეთს ულირსს საქმეს ჰკიდებენ ხელს წარმომადგენელნი კანონიერებისა, მთავრობისაო. ვინ იფიქრებდა ამას ფლოკესაგან, რომელიც ყველგან, უალაგო ალაგასაც-კი, ჰყვირის ბრალიანადა და უბრალოდ, რომ მომხრე ვარ თავისუფლებისა ყველგან და მუდამაო.

აი ასეთმა ლაპარაკმა გაზეთებისამ ააყაყანა მთელი პარიჟი. თუმცა ბევრს სიცილად არ ეყო ყოველივე ეს მოგონილი და ტყუილი ცილის-წამება, მაგრამ ზოგი-კი სახტად დარჩა და გაუოცდა: ეს რა გვესმის, რომანია, თუ მართალიო. სარესპუბლიკო გაზეთებმა ამ ოინს ყურადღება არ მიაქციეს და ამით დიდად გაუცრუვდათ ბულანჟეს მომხრეებს თავიანთი უწმინდური განზრახვანი. ეგონათ, ეს-ეს არის, სკანდალს მოვახდენთ, წყალს ავამღვრევთ და იქნება თევზი მაშინ მაინც დავიჭიროთო, მაგრამ ამითიც ვერას გახდნენ.

## წვრილი ამბები

ცნობილი და განთქმული ამერიკელი ქალი, მისტრის ვიქტორია კლეფლინ ვუდგოლლ-მარტინი, ამას წინად მისულა ლონდონს. რაღა თქმა უნდა, გაზეთის თანამშრომლები მაშინვე დატრიალებულან და წასულან ამ საოცარის ქალის სანახავად. ეს ქალი განთქმულია თავისის მჭევრმეტყველებით. ცნობილია, რომ 1870–1877 წლამდე მისტრის ვუდგოლლი ქალთა და კაცთა უფლებათა თანასწორობის მომხრე იყო და ისე გულ-მოდგინედ ებრძოდა ამ საქმეს, რომ თავისი თავი ჩრდილოეთ-ამერიკის რესპუბლიკის პრეზიდენტის კანდიდატად დაასახელა. რაღა თქმა უნდა, გაზეთის თანამშრომელი რომელსამე ბებრუცუნას ნახვას მოელოდა, მაგრამ ძალიან მოსტყუვდა თავისს მოლოდინში. გაზეთის თანამშრომელს დახვედრია მაღალი და ტანოვანი ქალი, მშვენიერის სახისა, რომელსაც ლამაზს თვალებში ჭკუა და გაბედულობა ეტყობოდა. ჩვეულებრივის სალამის შემდეგ ქალმა პირველმა დაიწყო თურმე ლაპარაკი და აუწყა სტუმარს, რომ მას შემდეგ, რაც ნიუ-იორკის ბანკის პატრონს მარტინს მივსთხოვდი, განკერძოებულს ცხოვრებას ვატარებდი, რათა გაზეთების სალაპარაკო არ გავმხდარიყავიო. ვიყავ სახლში და ვშრომობდი, ვწერდი ჩემს უკანასკნელს სამეცნიერო თხზულებას „კაცობრიობის ჯილაგის გაუკეთესებასა და განვითარებაზედ“. ამ ჩემს შრომას ინგლისურად აწერია: „Stirpiculture, or the scientific propagation of the human race“. ავტორის აზრით, კაცობრიობის ჯილაგი საშინლად გადაგვარდა და მირს დაეცა. ეხლანდელი ადამიანი პირუტყვზედაც-კი დაბლა სდგას. ასეთის გადაგვარების მიზეზი ვნებანი და ბიწიერებანია, კაცობრიობას გარდაქმნა, გარდაშენება უნდა. ვიცი, რომ ამისი გამოკვლევა ძნელია და ძნელს საგანს მოვკიდე ხელიო, უთქვამს უმაწვილს ქალს: მაგრამ მაინც იმედი მაქვს გზა ვუპოვნო როგორმე, ვიცი, რომ ბრძოლა მომიხდება ჩვეულებებთან და ადამიანიშვილის პიროვნების თავისუფლების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში უკიდურესი საშუალება უნდა ვიხმაროთ, თუ გვინდა, რომ ის შენობა, რომელსაც კაცობრიობა ჰქვიან, არ დაეცეს, ვნებითა და ბიწიერებით მირ-გამოხრილი და გამოჭმული. ამ შემთხვევაში უმთავრესი სამკურნალო საშუალება, ქ-ნის ვუდგოლლის აზრით, ის არის, რომ უნდა აღვუკრძალოთ დაქორწინება და ცოლ-ქმრულად შეერთება იმათ, ვისაც მშობლებისაგან სამკვიდროდ დარჩენიათ რაიმე ბიწი და ავადმყოფობა; არ უნდა შეირთონ ცოლი აგრეთვე იმათ, ვისაც რაიმე ნაკლი აქვს ფიზიკური, თუ მორალური; არ უნდა დაქორწინდნენ ისინიც, რომელნიც მეტად ზანტნი არიან და ან უშემწეონი. ამ გზით ჰსურს ავტორს ამ წიგნისას გააუკეთესოს და განავითაროს კაცობრიობის ჯილაგი.

— ერთს ნეაპოლის წიგნის ვაჭარს მიუღია გასასყიდად საკვირველი ეგზემპლიარი დანტეს „ღვთაებრივი კომედიას“. მთელი ეს თხზულება, რომელიც დახლოვებით 14,233 ლექსისაგან შესდგება, მაშასადამე, 96,000 სიტყვისა და ან 400,000 ასოსაგან, დაწერილია ერთს თაბახს ქაღალდზე და მხოლოდ გამადიდებელის მინით შეიძლება იმისი წაკითხვა. ამბობენ, რომ ამ თხზულების გადამწერი ვიღაც გასსოველია, რომელსაც დიდის ხნის განმავლობაში უშრომნია და ბოლოს ეს ნაწერი რომელღაც მონასტრისთვის უფეშქაშებიაო.

— რეინის კანცლერის მეუღლეს, ქ-ნს ბისმარკს, ჩვეულებადა აქვს თურმე, რომ ხორაგეულობას თითონვე ჰყიდულობს ჰამბურგში. ამას წინად ეს ქალი იმპერატორს მოელოდა თურმე სტუმრად და ამიტომ თითონვე წავიდა ხორაგისა და სურსათის სავაჭროდ. რომ მოივაჭრა, მატარებელმა გაუსწრო და იძულებული იყო ორს საათს ელოდნა. გასართობად მოიწადინა თურმე პორტო-ფრანკოს დათვალიერება, წავიდა კიდეც, ხოლო როცა უკან დაბრუნდა და საბაჟოს მიახლოვდა, წინ გამოეცხადა საბაჟოს მოხელე. ამ მოხელეს დაუნახავს ნავაჭრი და დაწესებული ბაჟი უთხოვნია. ქალს თავისი სახელი უთქვამს. მოხელეს თავისი არ დაუშლია. ამაზედ ქ-ნს ბისმარკს დაუწყია რწმუნება, რომ ეს ნავაჭრი პორტო-ფრანკოში არ არის ნაყიდიო, მაგრამ მოხელე მაინც არ დაემცხრალა და ბაჟი გადაუხდევინებია იმ ბისმარკის მეუღლისათვის, რომელიც ერთად-ერთი მომგონია და დამწესებელი მთელს გერმანიაში სხვა და-სხვა ბაჟისა და გადასახადისა.

## დეპეშა

20 ნოემბერი

პეტერბურგი. გუშინ სახელმწიფო საბჭომ განიხილა პროექტი „უჩასტკის“ უფროსების შესახებ.

ავსტრიის იმპერატორის ორმოცის წლის მეფობის დღეობის გამო „Journal de St.-Pétersbourg“-ი ამბობს, რომ ყველა მეფეები აფასებენ იმპერატორის ფრანც-იოსების ხასიათსა და თვისებას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში უთანხმოება ჰსუფევს და ეს უთანხმოება სახელმწიფოებს მოსვენებას არ აძლევს, მაინც ყველანი კეთილად იხსენიებენ ფრანც-იოსებს იმიტომ, რომ ეს იმპერატორი სცდილობს მშვიდობიანობა დაუმკვიდროს თავისს ქვეშევრდომთაო.

ვენა. იმპერატორს ფრანც-იოსებს სურვილი აქვს, რომ იმისი ორმოცის წლის მეფობის დღეობა გაატარონ საქველ-მოქმედო საქმეებით.

პარიჟი. საგანგებო სამხედრო ბიუჯეტი აღრიცხულია ნახევარი მილიარდი ფრანკი.

21 ნოემბერი

ბელგრადი. მეფე მილანმა, ახალის კონსტიტუციის ძალით, პირობა დასდვა, რომ მეორედ ცოლსაღარ შეირთამო.

შატლე. რესპუბლიკელთა კონგრესს განზრახვა აქვს განუცხადოს სახელმწიფოთ, რომ ბელგიის მუშების მდგომარეობა მეტად გაჭირებულია და ამიტომ ეცადონ რევოლიუცია არ მოხდეს.

პარიჟი. ნევერში მიტინგზე ანტი-ბულანჟისტებმა განაცხადეს, რომ ბულანჟე მოღალატეა და ბონაპარტის მიმბაძავიო.

22 ნოემბერი

პეტერბურგი. გუშინ სევასტოპოლში გარდაიცვალა ზღვათა სამინისტროს მმართველი შესტაკოვი.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ნოემბერი 30 დღით არის

23 დღე ოთხშაბათი. მოწ. გრიგოლისა. კათოლ. კლემენტინასი. მაჰმად. მე-2 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 7—11, ჩადის 4—30. მთვარე 3 დღისაა.


## განცხადებანი

სალიანის თევზეულობის დუქანი, რომელიც იყო პუშკინის ქუჩაზედ, თამამშოვის ქარვასლის ქვეშ,

**გადავიდა**

იმავე ქარვასლის ჩრდილოეთის მხრისკენ, სკვერის პირდაპირ, ქიმში, სადაც კანტორა იყო ალილოვისა.

ყოველ დღე დილის მატარებლით მოგვდის ახალ-ახალი თართი, ორაგული და ხიზილალა პარკსა და ბოჩკისა. ყოველ დღე ვხარშავთ დოშს. (4—4)

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის სამართველოში და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი:

დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ

**დედებმა**

მუძუ-მწოვარ ყმაწვილებს.

ფასი ერთი შაური. (5—4)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . . | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. . | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |

დაშავებულის შესახვევ ნივთთა უმთავრესი საწყობი

ხავაჭრო სახლის

**ალექსანდრე ვენცელისა,**

ს.-პეტერბურგს, ყაზანის ქუჩა, სახლი № 3, ზიმინის ვიწრო ქუჩ. პირდაპირ.

ისყიდება სხვა-და-სხვა შესახვევი ბამბა, იუტა, ზღვის დაწეწილი ბაწარი, ბინტები, მარლი (იოდოფორმისა, სულემისა, კარბოლისა და სხვათა), ბანდაჟები, ასახვევი, სხვა-და-სხვა სადოსტაქრო იარაღი და მოწყობილობანი, რეზინის კუთვნილებანი, კლიონკები, ტერმომეტრები, პულვერიზატორები და სხვანი. (3—1)

კერძო ექიმი

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, ბექხანოვის, სახლი, № 103. (10—9)


Доз. ценз. Тифлисъ, 22-го Ноября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე